

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ „საქართველოს ყველის მწარმოებელთა გაერთიანება-გილდია“, წარმოდგენილი გამგეობის თავმჯდომარის ანა მიქაძე-ჩიკვაძის სახით, შემდგომში „მომწოდებელი“ ვლებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2016 წლის 24 ივლისს „ქართული ყველის ფესტივალი - მცხეთა 2016“ დაკავშირებით კულტურული ღონისძიების ორგანიზება. (CPV79952000) წარმომადგენლობითი ხარჯი.

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2016 წლის 24 ივლისი.

2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

3.1 „მომწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას:

3.1.1 უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება.

3.2 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

4.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

4.3 მომსახურების არაჯეროვნად ან შეუსრულებლობის და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 8.2 თუ „მიმწოდებელი“ და „შემსყიდველი“ მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

- 9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
- 9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

- 10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო მანიაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12. ანგარიშსწორება

- 12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. 7
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
ს/კ 236098824

მომწოდებელი
ა(ა) იპ „საქართველოს ყველის მწარ-
მოებელთა გაერთიანება-გილდია“
მის: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 26ა, 891
სს „კავკასიის განვითარების ბანკი-
საქართველო“
ბანკის კოდი :DEVGGE22
ა/ნ GE03CS0000 0000 0360 8614
ს/კ 405034582
tel: 596452323

მუნიციპალიტეტის გამგეობის
ფურაბ აბესაძე



გამგეობის თავმჯდომარე
ანა მიქაძე-ჩიკვაძე